სუვერენი, სუვერენიტეტი და საგანგებო მდგომარეობა კარლ შმიტთან და ვალტერ ბენიამინთან

თორნიკე ბერაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფილოსოფია

ნაშრომის ხელმძღვანელი: გიორგი მაისურაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თორნიკე ბერაძე

19.05.2025.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს სუვერენიტეტის და საგანგებო მდგომარეობის ცნებებს კარლ შმიტის და ვალტერ ბენიამინის ნააზრევში. საკვლევ პრობლემას წარმოადგენს შმიტის მიერ სუვერენულ გადაწყვეტილებას და ბენიამინის მიერ ფორმულირებული საგანგებო მდგომარეობის, როგორც წესის კრიტიკულ პერსპექტივას შორის დაპირისპირება. ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს აღნიშნული ცნებების მზარდი მნიშვნელობა თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში, რომელშიც გლობალური კრიზისების ფონზე, სახელმწიფოები ხშირად მიმართავენ საგანგებო მმართველობის ფორმებს.

ნაშრომის მიზანია, შედარებითი ანალიზის გზით აჩვენოს, თუ როგორ წარმოადგენს ბენიამინი შმიტისეული წესრიგის შენარჩუნებაზე ორიენტირებული მოდელის რადიკალურ ალტერნატივას.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს კონცეპტუალურ, ტექსტუალურ და შედარებით ანალიზს. კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ შმიტის სუვერენი არის "კატეხონური" (შემაკავებელი) ფიგურა, რომელიც ისტორიის კატასტროფულ დასასრულს აყოვნებს, ხოლო ბენიამინის რევოლუციური სუბიექტი „ესქატოლოგიურია" და ისტორიის კონტინიუმის შეწყვეტისკენ ისწრაფვის. ბენიამინის კრიტიკა ("ტრაუერშპილის" მელანქოლიური სუვერენი, ისტორიის ანგელოზი) და ხსნის ფორმები (პროლეტარული გაფიცვა, „სამაშველო მუხრუჭი") ერთიანდება „ნამდვილი“ საგანგებო მდგომარეობის იდეაში.

ნაშრომი ახლებურად წარმოაჩენს ბენიამინის რევოლუციური პროექტს, როგორც შმიტის თეორიის თანმიმდევრულ და მრავალშრიან ალტერნატივას.

საძიებო სიტყვები: სუვერენიტეტი, საგანგებო მდგომარეობა, პოლიტიკური თეოლოგია, ღვთაებრივი ძალადობა, წინსვლა, რევოლუცია.

Abstract

This thesis investigates the concepts of sovereignty and the state of exception in the thought of Carl Schmitt and Walter Benjamin. The research problem constitutes the confrontation between the sovereign decision as theorized by Schmitt and the critical perspective of the 'state of exception as the rule' as formulated by Benjamin. The relevance of the thesis is determined by the growing importance of these concepts in contemporary political discourse, in which states often resort to forms of emergency governance amidst global crises.

The aim of the thesis is to demonstrate, through comparative analysis, how Benjamin presents a radical alternative to Schmitt's order-oriented model.

The research is based on a qualitative methodology, which includes conceptual, textual, and comparative analysis. The research results demonstrate that Schmitt's sovereign is a 'katechontic' (restraining) figure who postpones the catastrophic end of history, whereas Benjamin's revolutionary subject is 'eschatological' and strives for the interruption of the historical continuum. Benjamin's critique (the melancholic sovereign of the *Trauerspiel*, the Angel of History) and his forms of salvation (the proletarian strike, the 'emergency brake') are unified in the idea of the 'real' state of emergency.

The thesis presents a novel analysis of Benjamin's revolutionary project as a coherent and multi-layered alternative to Schmitt's theory.

Keywords: Sovereignty, State of Exception, Political Theology, Divine Violence, Progress, Revolution.